მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვჰოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 9 1883—1894 15 მაისს.

სამწუხარო ფიქრები საქართველოს სასულიერო მართებლობის ერთი განკარგულებისა გამო.

ამ დღეებში ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდის კანტორამ ერთი საეურადღებო განკარგულება მოახდინა. აი საქმე რაში მდგომარეობს: 1885 წელში მაშინდელი საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პავლეს განკარგულებით დაიბეჭდა ორი ათასზე მეტი ცალი ქართული დაბადება ეკლესიებისა და კერძო პირთათვის. ეკლესიებს უკვე დაურიგეს თითო ცალი ექვს-ექვს მანეთად. ამ სახით ათას ორასი ცალი, თითქის, გასაღდა, მაგრამ დანარჩენი წიგნები კი დღესაც საწყობში სდევს და მათ კაცი არ ეიდულობს. დღეს სინოდალნი კანტორა სთხოვს იმერეთის და გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავრებს, რომ მათ მოაპოებინონ დაბადება სამღვდელოებას და იმ ეკლესიებს, სადაც საჭირო არის. დაბადება ქართულ ენაზე არის დაბეჭდილი და ქართველები კი როგორც მღვდლები ისე საერო წოდების პირნი არ ეიდულობენ ამ წიგნს!.. როდესაც სინოდალნი კანტორამ დაბეჭდინა მსედრული ასოებით დაბადება, რასაკვირველია, სასეში ის ჰქონდა, რომ საერო წოდებაშიაც აღმოჩნდებოდნენ მსურველნი ამ

წიგნის მოპოებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, არა თუ საერო წოდებამ, არამედ სასულიერო წოდებამაც—ჩვენმა მოძმეებმა ისეთი გულგრილობა გამოიჩინეს ამ წიგნის მოპოების შესახებ, რომ დღემდის ესეთი გულგრილობა გასაკვირველი და აუხსნელი რჩება ჩვენთვის.. 1885 წელს აქეთ აგერ ცხრა წელიწადი გადის, ცხრა წლის განმავლობაში ექვსი ათასი მანეთი უსარგებლოთ სძევს. სინოდალნი კანტორას რომ დაბადების დანარჩენი ცალებიც გაეყიდა, მაშინ ექვსი ათასი მანეთი იქნებოდა აღებული. ექვსი ათასი მანეთი ცხრა წლის განმავლობაში თუ ხუთს არა ოთხს სარგებელს მაინც შემოიტანდა და 6000 მანეთი ცხრა წელში მოგვცემდა სარგებლობას 2000 მანეთზედ მეტს. როგორც სჩანს ამ ანგარიშიდამ, სინოდალნი კანტორას კარგად უზარალნია ნივთიერად და სამღვდელოებასაც არა ვითარი სარგებლობა არ მიუღია გონებითად დაბადების დასტამბვით. ყველა მღვდელს ტ ეკლესიებს რომ მოეპოებია დაბადება, მაშინ არა თუ ორი ათასი ცალი, არამედ სამი ათასიც არ იკმარებდა. მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ 1885 წელს აქეთ რაც ზოგიერთი ეკლესიები გააშტატეს, მათგან არც მეოცედს აქვს მოპოებული ეს უსაჭიროესი წიგნი. რაიცა შეეხება სამღვდელოებას, უნდა ვთქვათ გამოტეხილად, რომ ასში იქნება ოთხს-ხუთს ექნეს მოპოებული დაბადება თავისი სახლის დასამშვენებლად, დანარჩენი სამღვდელოება რას შერება? მოხუცებულნი ამბობენ: „რომ ვიეიდოთ, რა სარგებლობას მოგვიტანს, ბევრი ვერც კი წაიკითხავს რიგიანად და წაკითხულს ვერ განმარტავს. ვისაც ოთხი კლასი გაუთავებია, ანუ სემინარიაში ეოფილა, მაგრამ სწავლა არ დაუსრულებია, ისინიც ამბობენ: რა საჭიროა ფულის დახარჯვა დაბადების სასეიდლად, როდესაც უიმისოდაც მთელი დაბადება კარგად გვაქვს გავლილი სწავლის დროსო!.. წარმოიდგინეთ, რომ იმისიანა სემინარიელი მღვდლების ოჯახშიაც ვერ ნახავთ დაბადებას, რომელნიც ნიადაგ იმაზედ დრტვინავდენ, რომ ქართული წიგნების კითხვას გვიშლიდენო და ნიადაგ ქართული ენის შევიწროების შესახებ საუბრობდენ!.. ზოგიერთ ამისთანა მღვდლების ოჯახებში ხშირად შეხვდებით ჟურნალებს და გაზეთებს, მაგალითებრ: «Нива»,-ს «Живописное обозрѣніе»-ს და სხვათა, მაგრამ დაბადებას ვერ ნახავთ!.. რამდენ სამწუხარო და საგალალო ფიქრებს ჭბადავს ეს საეურადღებო გარემოება იმ კაცის გულში, რომელიც მცირეთ მაინც თვალს ადევნებს ჩვენს დამაბუნებას, ჩვენს გულგრილობას და ჩვენს გადაგვარებას.. უნებლიეთ თავში გებადება კაცს შემდეგი კითხვები: რა აცხოველებდა ჩვენს გულს იმ დროს, როდესაც საბეჭდავების უმექონლობისა გამო უმეველებელ გულვანებს და დაბადებას ხელით სწერდენ, საქებად და სადიდებლად მიაჩნდათ ჩვენებს თითო ამისთანა წიგნის ქონება ოჯახში და ეკლესიაში? რა აცხოველებდა იმ ძველ დროში ჩვენს სურვილს, რომ ასე ბეჯითობით კითხულობდენ დაბადებას ოჯახებში და განსაკუთრებით სამღვდელოებაში? რამ დაჩლუნგა ჩვენში ჩვენი წინაპრების სალისი დაბადების კითხვისა? აი კითხვები, რომელსაც პირდაპირი პასუხი უნდა მისცეს ეოველმა ქართველმა. ჩვენ დარ-

წმუნებული ვართ, რომ ბევრნი არც კი დაფიქრდებიან ამ კითხვებზე და სწრაფად მოგიგებენ: მეტი საქმე არა ჰქონდათ ჩვენ წინაპართ და დიდ რამედ მიაჩნდათ ხელნაწერი გულვანები და დაბადებანი და ამისათვის სწერდენ, და საქებრად მიაჩნდათ განათლებას მოკლებულ ჰირთ თავისი წიგნთ-საცავი დაბადებით შეემკოთ; ძველ დროში დაბადებას კითხულობდენ, რადგან სხვა საკითხავი წიგნები არ იყო და დღეს დაბადებით ვერ დაკმაყოფილდება ხალხი; განათლებამ, სიბნელიდამ სინათლეში გამოსვლამ, ბევრს აუხილა თვალი და შეუცვალა გრძნობა და შესედულება და იმისი ბრალია, რომ განათლებული ხალხი საერო წიგნებს უფრო კითხულობს, ვიდრე დაბადებას...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიგებით უმეტესობა დაკმაყოფილდება და ზოგნი უარესსაც იტყვიან...

ესლანდელი დროის განათლებული კაცის შესედულება საღმრთო წერილის კითხვის შესახებ, რასაკვირველია, სულ სხვა არის და ძველის სულ სხვა იყო. ძველი კაცი, ჯეშმარიტი სარწმუნოებით გამსჭვალული, დაბადების კითხვით ნეტარებდა და ემაყოფილდებოდა. დღეს სულ სხვა საკითხავებია. „განათლება შემოვიდაო, იტყვიან ხოლმე, კაცობრიობა წინ მიდის პროგრესიულად და ძველმა ახალს უნდა დაუთმოს ადგილიო". მაშ ამ ბატონების სიტყვით ჩვენ ძლიერ წინ წავსულვართ განათლებით? მეტათ შენი მტერი არ წავიდა წინ, რაც ჩვენ წინ არ მივდიოდეთ!..

ავიღოთ ყველაზე უფრო განათლებული, უფრო დაწინაურებული და ხელოვნებით განთქმული სახელმწიფონი. ამისთანა სახელმწიფოებში, ვგონებ, პირველი ადგილი უჭერია მთელ დედა-მიწაზე ინგლისს. აბა შედით იქ რომელიმე ოჯახში და აათვალიერ-ჩაათვალიერეთ კარგად ყველა ოჯახები უდიდებულესის კაცის ოჯახიდამ დაწყებული უკანასკნელი ღარიბ ოჯახამდე.

რას ნახავთ თქვენ ინგლისელის ოჯახში? ყოველს ოჯახში უთუოდ ნახავთ დაბადებას. მაგრამ ეს საღმრთო წიგნი მარტო სტოლის და შკაფის დასამშვენებლად კი არა სდევს, იქ იგი ნიადაგ ხმარებაშია. ინგლისში ყოველი კაცი დიდებულიდამ დაწყებული უკანასკნელ კაცამდე ექვსი დღის განმავლობაში ერთგულად მუშაობს, მეშვიდე დღეს, კვირას, ის არც ერთ საქმეს არ ჰკიდებს ხელს და არც სხვა და სხვა ადგილებში დაიარება დროს გასატარებლად, არამედ მთელი დღე ზის თავის ოჯახში და კითხულობს დაბადებას. ამ წიგნის კითხვას ყოველი ოჯახის უფროსი ისეა მიჩვეული, რომ როგორც წირვა-ლოცვის მოსმენას ვერ მოიკლებენ კვირა დღეს, ისე ამ წიგნის კითხვას. მართლაც დაბადებაზე რა უფრო სასარგებლო უნდა წაიკითხოს კაცმა, რომ იგი ქრისტეს სარწმუნოებაზე და ზნეობაზე დამტკიცდეს? ეს კარგად ესმისთ განათლებულ ინგლისელებს და ამიტომაც ასე იქცევიან.

თუ კი ეს განათლებული და ყოველის მხრით დაწინაურებული ერი ასე მიჩვეულია დაბადების კითხვას, ჩვენ რაღა გვიშლის ხელს, რომ ამ შვენიერ მაგალითს მივბაძოთ? ჩვენ ამ შემთხვევაში წინ გვეღობება უმეცრება და უგუნურება...

იქნება ვინმემ თქვას, რომ ყველა ოჯახს არ შეუძლია ამ წიგნის მოპოება მისი სიძვი-

რისა გამო? ეს მართალი არ არის. ჩვენში არიან ისეთი პირნი, რომელნიც ექვს მანეთზე უფრო ბევრს ხარჯავენ წიგნების სასყიდლად, მაგრამ „დაბადებისათვის“ კი ექვს მანეთს ვერ იმეტებენ. ბევრი ისეთი ოჯახი გვინახავს, სადაც თუთხმეტ მანეთიანი ვეფხისტყაოსანი სდევს სტოლზე, მაგრამ ექვს მანეთიან დ ა ბ ა დ ე ბ ა ს კი მათ ოჯახში ვერ ნახავთ. საერო პირთ ამ შემთხვევაში ბევრს ვერაფერ უსაყვედურებთ, მაგრამ რა უნდა ვთქვათ მღვდელზე, ხალხის სულიერ მოძღვარზე, რომელიც ამ წიგნის შესახებ ისეთივე გულგრილობას იჩენს, როგორც საერო პირი? რით შეუძლია თავი გაიმართლოს მოძღვარმა, რომ მას დაბადება არა აქვს ოჯახში? ვითომ მას ფული არ ეშოვება ამ წიგნის მოსაპოვებლად? ან შეიძლება დრო არა აქვს ამ წიგნის საკითხავად? არა. ან იქნება საჭირო არ იყოს იმისთვის ამ წიგნის კითხვა? არა, მისთვის მიუცილებლად საჭიროა ამ წიგნის ხშირად კითხვა. ჩვენ რაღაცა მივეჩვიეთ ნიადაგ ჩივილს ჩვენი ხალხის სარწმუნოებრივ გულგრილობის შესახებ, მაგრამ გვავიწყდება კი, რომ თუ მარილი არ მარილობს, რითი დამარილდება... ნუ თუ საჭირო უნდა იყოს ჩვენთვის რაიმე განკარგულება და მიწერილობანი, რომ მღვდლებმა დაბადება მოიპოვონ!.. ამაზე მეტს სამწუხარო მოვლენას ვერ შევხვდებით დღეს ჩვენს ცხოვრებაში. ყოველივე ჩვენი მოძმე გულდასმით უნდა ჩაუკვირდეს ამ მოვლენას და გაჭვრიტოს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ჩვენ გულგრილობას ამ ქვეყანაზე და ან იმ სოფელში რით გაიმართლებენ თავს მსაჯულის წინაშე, რომელსაც უნდა რქვან: „აჰა მე და სამწყსონი ჩემნი, რომელნიც მომეც მე დასამწყსველად!..

დეკ. დ. ლამ—ძე.

მ წ ა რ ე ფ ი ქ რ ე ბ ი

ჩვენ ვიცნობდით სამხედრო წოდების ერთ მოსამსახურე პირს. ეს კაცი საკვირველი ხასიათისა იყო. იგი არც ერთს ჟურნალ-გაზეთს არ იკლებდა, ყველას იწერდა და გონებითაც ძლიერ განვითარებული იყო. ყველანი მის გონებით განვითარებას აწერდენ სხვა-და სხვა ჟურნალ-გაზეთების კითხვას. გარდაიცვალა ეს კაცი. მისი სიკვდილის შემდეგ ერთი დიდი შკაფი გატენილი ნახეს ყველა იმ ჟურნალ-გაზეთებით, რომელთაც იგი ასე ერთგულად იწერდა ხოლმე ყოველ წლობით. მაგრამ ყველას გასაოცრად არც ერთი ჟურნალ გაზეთი არ იყო გახსნილი და წაკითხული!.. აი კიდევ ერთი უკეთესი მაგალითი. ქუთაისში სცხოვრობს ერთი კაცი, რომელსაც ღვინო და სხვა რაიმე მაგარი სასმელი არასოდეს არ დაულევია, იგი სასმელად მარტო წმინდა წყალს ხმარობს. ვახშამზე და სადილზე, როდესაც ღვინის და სხვა და სხვა მაგარი სასმელების მირთმევის შემდეგ საზოგადოება გახალისდება და იწყებს თამაშობას, სიმღერას და შექცევას, ეს კაციც ხალისდება და ალტაცებაში მოდის. ყველას უკვირს ამ კაცის საქციელი და კითხულობენ: ნუ თუ წყალიც ისე მოქმედებს ამ კაცზე, როგორც ღვინო?

ზოგიერთი დღევანდელი ჟურნალ-გაზეთების კითხვა სწორეთ იმ კაცს განატრებს, რომელიც ყველა ჟურნალ-გაზეთებს იწერდა, მაგრამ კითხვით კი არც ერთს მათგანს არ კითხულობდა. მართლადაც გასაოცარი დრო დადგა ბეჭდითი სიტყვისა. გუშინდელი კაცის მკვლელი და სახელგანთქმული ყაჩაღი დღეს ზნეობის მქადაგებელია და ჩინებული ლიტერატორი. გუშინდელი მამულის მოღალატე დღეს პატრიოტობას უქადაგებს ხალხს. ზნე დაცემული, სულმდაბალი, ორპირი და პატიოსნების ერთ გროშათ გამყიდველი დღეს ლიტერატორობას ჩემობს... დღეს მეკენჭეთა ბატონების სახლებში გამძლარნი ხვალ ბუკსა და ნალარას სცემენ, აქებენ

და ადიდებენ თავიანთ ბატონებს და ქვეყანას უმტკიცებენ, რომ თუ მათგან მოწონებული ბატონები არ იქნენ ამორჩეულნი, ქვეყანა დაიღუპებაო და სხვა და სხვა და სხვა. ერთობის და ძმობის მქადაგებელნი საქმით ყველას მტრობენ და არავის არინდობენ. ერთი სიტყვით დადგა დრო სიტყვიერად ერთის თქმისა, საქმით სულ სხვა მოქმედებისა.

საზოგადოებამაც ყური შეაჩვია ამდენ ოცრობოდიურ წერას, ამდენს ზოგიერთ პირთა უადგილო ქება-დიდებას და მეორეთა ლანძღვა-გინებას... გაზეთები ერთს ლაპარაკობენ და საზოგადოება კი სულ სხვანაირად იქცევა. თითქმის სრულებით დაჰკარგა ბეჭვდითი სიტყვამ გავლენა საზოგადოებაზე.

ვისი ბრალია ეს სამწუხარო მოვლენა? ჩვენი ზოგიერთი მწერლებისა, რომელნიც თავიანთ პატრონების თვალში დვირეს ვერ ამჩნევენ და მათ მოწინააღმდეგე პირთა თვალში წვილს ეძებენ. შურს და მტრობას სთესვენ ძმათა შორის და საუკუნოდ ამტერებენ ერთმანეთს. ერთს უწოდებენ «ინტელიგენტსა და მეორეს უბრალო გაუნათლებელ კაცს, თუმცა, ღმერთ წინაშე, მართალი რომ სთქვას კაცმა, იგინი არაფრით არ გაირჩევიან ერთმანეთისაგან. გაირჩევიან მხოლოდ მით, რომ ერთი ბევრს სჭამს, რადგან დიდ ჯამაგირს იღებს და მეორე ცოტას. ერთი მარხვაშიაც ხორცს მიირთმევს და მეორე კი ხსნილშიაც ლობიოს გიახლება. მამულისათვის კი არც ერთს დიდი არა გაუკეთებიათ რა და არც დასამადლი არავისზედ არაფერი აქვსთ..

*
* *

ამ ზემოდ აღნიშნულ სამწუხარო მოვლენას გარდა ეხლანდელი დროის ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთების მკითხველი აშკარად შეამჩნევს მეორე სამწუხარო მოვლენასაც, რომელსაც წინეთ ვერ შეამჩნევდით. მიდგომითი მსჯელობა, ბრუნდი აზრები, რასაკვირველია, წინათაც იყო, მაგრამ ისე აშკარად ვერ შეამჩნევდით ამაებს, როგორც დღეს. დღეს აშკარად დაგიმტკიცებენ, რომ ესა და ეს ბატონი ანგელოზია და უანგარო სული. რომ მას თავის სიცოცხლეში თავის თავი არ გახსენებია, სულ საზოგადოების სარგებლობაზე ცდილობდაო. გუნებაში ამბობ: ნეტავი ჩვენ! ჩვენც გვყოლია კაცები, რომელნიც თავის თავზე კი არა საზოგადოების სარგებლობაზე ზრუნავენ თურმე დღე და ღამე!... მადლობა ღმერთს! გინდა შეიტყო და ერთი მაინც შეხედო შენი თვალით ამ თავგანწირულს და საზოგადოებისათვის თავდადებულ კაცებს... რას ხედავ? ეს საზოგადოებისათვის ტანჯული კაცები ჯამაგირს იღებენ თურმე 4—5 ათას მანეთამდე წელიწადში, ადგილ მამული აქვსთ. დილის თერთმეტი საათიდამ ნაშუადღევის სამ საათამდის მუშაობენ ნელნელა ე. ი. 24 საათში სამ საათს. ღამეს თუ ათევენ, მარტო ბანქოს თამაშობაში და თეატრში დროს გასატარებლად, თორემ ჭამენ და ძინავსთ. დიაღ, სწორეთ თავის თავი სულ დავიწყებიათ ამ კაცებს და მარტო საზოგადოებაზე ზრუნავენ თურმე!!.. ნეტავი იმ საზოგადოებას, რომელსაც ამისთანა თავდადებული მამულის შვილები ეყოლება!...

ძლიერ სამწუხარო ამბავი შეგვატყობინა «ივერია»-მ. ბ. ა. ჭიჭინაძეს თავი დაუნებებია თბილისის სააზნაურო სკოლის გამგეობისათვის და თერგის სამფლობელოში სახალხო სკოლის ინსპექტორობა უთხოვია. ამას წინად „Новое время“-ს ერთი კორრესპონდენტი ურჩევდა მმართებლობას, რომ ქართველები ცივ ადგილებში უნდა დაინიშნონ თანამდებობაზე და ჩვენები მათ თბილ ადგილებშიო. ნუ თუ ბ. ალექსი ჭიჭინაძიდგან დაიწყეს ამ მოსაზრების ასრულება? ყველა ასე იფიქრებს, როდესაც ამ სამწუხარო ამბავს შეიტყობს. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად გახლავსთ. ბატონ ჭიჭინაძეს ძალას კი ვერავინ დაატანდა თავის თანამდებობა დაეტოვებია. ეს მხოლოდ მისი სურვილი იქნებოდა. მოვიყვანთ რამდენიმე სიტყვას, რომელიც უძღვნა «ივერიამ» ამ პატივცემულ მოღვაწეს:

«ვისაც ცოტათი მაინც უდევნებია თვალ-ყური ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლებისათვის, იმან იცის,

თუ როგორის ერთგულებით და გაგებულად ემსახურებოდა ბატონი ჭიჭინაძე ჩაბარებულს მისდამო საქმეს. ვიტყვით მეტს: ეს ნორჩი დაწესებულებანი, რომლის გამგებლად დანიშნული იყო ბატონი ჭიჭინაძე, ჯერ ქუთაისს და მერმე ტფილისს, შეიქნა მისთვის ნამდვილ არსებით საგნად. ამ სკოლებს მოანდომა ჩვენმა პატივცემულმა მოღვაწემ თავისი ენერგია, სწავლა, შრომა, და ისეთის გვარის ერთგულება, რომელიც აეიწყებინებს ადამიანს საკუთარს ინტერესებს, და ღმერთად უსახავს მხოლოდ იმ საქმეს, რომლისთვისაც დაუდვია თავისი სული და გული».

სწორეთ სამწუხაროა ეს ამბავი ყველასათვის, ვისაც კი თავად-აზნაურობის სკოლებზე გული შესტკივა... დღემდის ვერ აგვიხსნია, თუ რით მიანება თავი ბ. ა. ჭიჭინაძემ ქუთაისის სააზნაურო სკოლას და რად გადავიდა თბილისში? ეს კიდევ არაფერი. მაგრამ ეხლა სრულებით ველარ გაგვიგია რა, თუ რათ დაანება თავი ჩვენში, ჩვენ მოძმეთათვის შრომას და მოღვაწეობას და რამ მიიზიდა იკი თერგის სამფლობელოში უფრო მცირე ჯამაგირზე?...

***

ღმერთო, რამდენი თოფი ისროლება ზეციასაკენ, აერში მტრის წინააღმდეგ! ღმერთო ჩემო, რა უსარგებლო ომი და ბრძოლაა ქარის წისქვილებთან! აღარ ეზოგებათ არც დრო, არც ჟამი, არც მელანი, არც ქაღალდი, არც ხელის მომწერლების ფულები, არც თვითონ ხელის მომწერლები! ნუ თუ დრო არის ეხლა ჩვენში ჩხირკედელობისა? დაუკვირდი შენს ნათქვამს და თუ სათქმელისა და დასაწერისაგან ენების მეტი სარგებლობა არა გამოვიდოდეს რა, ნურას იტყვი! სხვაზე სთქვი რამე, რომ იოტისოდენა სარგებლობა მაინც მოიტანოს. ეს მწარე ფიქრები დაბადა ჩვენში კიევიდამ გამოგზავნილმა წერილმა, რომელიც დაბეჭდილი იყო «ივერიის» მე-91 №-ში. ავტორი ამ წერილისა აცნობებს საქართველოს, რომ იერუსალიმის მონასტრები, ათონის ივერიის მონასტერი და სინას მთის სულ ქართველების ყოფილა და რატომ თავს არ შეიდგენ ქართველები, არ ამოიგებენ და არ ჩაიბარებენო!.. მოვიყვანოთ ამ შვენიერი საბუთიანი წერილიდამ რამოდენიმე სიტყვა:

დღეს ის დრო დადგა, რომ დაუდევრობა დადუმვაა; ეს დრო გვეუბნება: პალესტინაში წინად ქართველებს პირველი ადგილი სჭერიათ, დღეს-კი ქართველების ავლა-დიდებას ბერძნები დაჰპატრონებიან სრულიად უმართლოდ და უსაბუთოდ, ქართველების სისუსტისა და დაუდევრობის გამოვო. მაშასადამე თუ ქართველები არ დაეძებენ თავიანთ საქმეს, სხვას ამწყრალებენ თავიანთ მვიროვასს საკუთრებას, რომელსაც თითქმის მილიონი შემოსავალი აქვს, ბოლოს ბუზღუნსა და წუწუნს ნუღარ დაიწყებენ, ნუღარავის დაემდურებიან, რომ აუარებელი სიმდიდრე ხელიდამ გვეცლებაო.

მართლა, რა კარგი იქნებოდა ეხლა ჩვენთვის ერთი მილიონი შემოსავალი! რას არ გააკეთებდა კაცი! ჰმ, გავაკეთებდით, მაგრამ სულ ჩვენი დაუდევრობის ბრალია, სულ ჩვენი სამღვდელოების გულგრილობის ბრალია!.. წარმოიდგინეთ წერილის ავტორის გაკვირვება, სხვანი გვექომაგებიან და ჩვენ ყურსაც არ ვიბერტყავთ. დიაღ, გვექომაგებიან!..

ამ განზრახვით ხან ვინ გვეჩიჩინება და ხან ვინ, (რამდენად გულწრფელად ეს სხვა საქმეა), რომ ხმა ამოვიღოთ და ჩვენს კუთვნილებას მივეპატრონოთ. მაგრამ ჩვენ მაინც ყურებს არ ვიბერტყავთ. იურიდიულის საბუთით ხომ არავისათვის მიგვიყიდია რამ, რომ პატრონობის ნება აღარ გვქონდეს და რიყეზე დავრჩეთ პარიყული? თუ ძალაზეა საქმე, ჩვენ ვიღამ წაგვართვა ძალა...

ნეტავ შენ ყმაწვილობაო! ყველაფერი გაქვს და არასოდეს არა მოგაკლდება რა. გადააჯექი შენ შენს ლურჯა ჯოხს და მთელი ქვეყანა შემოიარე. შენი ცხენისათვის არც სასმელი და არც საჭმელი ხომ არ დაგჭირდება!..

ცოდვა არ არის განა, სირცხვილი და სიკვდილი არ არის, რომ ხელიდამ გაუშვას პატრონმა ის

დიდებული ნაშთი მამა-პაპათა მოღვაწეობისა, ის დიდი სიმდიდრე მათის ღვთის მოსავობისა და აღზნებულის ღვთის სიყვარულისა, რომელიც სრულად და სავსებით არის აღწერილი პროფესორის ა. ა. ცაგარლის თხზულებაში: Памятники грузинской старины на Синаѣ и въ палестинѣ.

დედა, დედა, დედა! რა უბედურობაა, მართლა, ჩვენს თავზე, ლამის აგერ დავკარგოთ, ვგონებ, იერუსალიმის, სინას მთის და ათონის მთის მონასტრები!.. ამაზე მეტი ძილი იქნება?! როგორც ჰგავს, წერილის ავტორი კიევის გვირაბებიდამ გამოსულა და რა ხდება ქვეყნიერობაზე, არ შეუტყვია ჯერეთ. წერილის ავტორს ჰგავს, არ გაუგია ჯერეთ, რომ პირველი შესანიშნავი მონასტრები, რომელნიც ცხვირის წინ იყვნენ, ხელიდამ წაგვივიდა და სხვანი დაეპატრონენ და ეს დალოცვილი გამომდგარა კიევის მთიდამ და გვესაყვედურება, იერუსალიმის მონასტრები არ დაჰკარგოთო!..

თუ მართლა ისე ვართ დღესაც დამთვრალნი, რომ, მაგალითად, ჩვენს სამღვდელოებას ფიქრადაც არ მოსდის ამ საქმისათვის შუამავლობა უწმიდესის სინოდის წინაშე, რათა დაგვეხმაროს ამ საქმეში, სწორედ წამხდარა ჩვენი საქმე და ის არის.

ღმერთმა ნუ ინებოს! რას ბრძანებთ? ჩვენი ბარკალაია მერე სად არის? ათონის მონასტრები ხომ ამოიგო და ეხლა იერუსალიმისას მიჰყოფს ხელს და, იმედია, მალე მოვესწრებით მათ ამოგებასაც.

მადლობა ღმერთს, რომ წერილის ავტორი სულ არ გვიკარგავს იმედს! ის ამბობს:

სანუგეშოდ მაშ ერთს სასიამოვნო ამბავს მაინც გათხოვოთ ყური და გონება.

შარშან, 1893 წელს, კიევის სასულიერო აკადემია დაასრულა ერთმა რუსის სტუდენტმა, რომელმაც დისერტაცია დასწერა ამ სახელწოდებით:

«палестинское монашество въ V вѣкѣ», (პალესტინის ბერობა მე-V საუკუნეში).

მერე რაო? რაო და ეს დისერტაცია ძლიერ მოეწონათ და მისი დაბეჭდვა სთხოვეს ამ სტუდენტსო. სტუდენტმა უფრო ვრცლად შედგენას დაპირდა პალესტინის საზოგადოებას და არიქა, მივაშველოთ, რაც ცნობები გვქონდეს პალესტინის ბერობაზე V საუკუნეშიო. სწორეთ ყველანი ვალდებულნი არიან დაეხმარონ ამ სტუდენტს ვრცლად დისერტაციის შედგენაში! სრული იმედია, რომ ამ დისერტაციის შემდეგ უცხოეთში ძველის ძველი ჩვენი მონასტრები, რომელთაც სხვები დაპატრონებიან, დაგვიბრუნდება და გავკეთდებით!... მახლას!..

სოფლის ხუცესი.

ნეკროლოგი.

ბლაღოჩინი მღვდელი ნიკოლოზ შენგელაია.

7 აპრილს ამა წლისას ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ს. გალში (სუხუმის ეპარქია-აფხაზეთში) ყველასაგან პატივცემული ბლაღოჩინი მღვდელი ნიკოლოზ ალექსის ძე შენგელაია. განსვენებული ჯერ მეტად ახალგაზდა იყო—სულ 30 წლისა. მამა ნიკოლოზმა 1883 წელში დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია; სწავლის დამთავრებისათანავე განსვენებული შეუდგა იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც მას ჯერ კიდევ სასწავლებლის სკამზე ჰქონდა შესისხლხორცებული, მან აღმოირჩია თავის მოღვაწეობის ასპარეზად მიყრუებული და მივარდნილი მხარე აფხაზეთი (განსაკუთრებით იმ დროებში). იქ მთავრობის ნება-რთვით მან გახსნა დ. ოქუმში სამრევლო სკოლა, სადაც მეტად მუყაითად და ბეჯითად ასწავლიდა ბავშებს; სხვათა შორის მამა ნიკოლოზი ცდილობდა ახალგაზდა აფხაზებისთვის ქართული ენაც ესწავლებინა. ორი-სამი წლის შემდგომ სამრევლო სკოლა განსვენებულისა სამაგალითო იყო მთელს სუხუმის ეპარქიაში.— ყოფილის სუხუმის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გენნადის დროს, განსვენებულმა ნიკოლოზმა დიდი ყურადღება დაიმსახურა მწყემსთ-მთავრისაგან სამაგალითოდ მომზა-

დებული შეგირდებით და კოხტად მოწყობილი სკოლით. მაგრამ მამა ნიკოლოზი მიისწრაფოდა უფრო მაღალი იდეალისკენ! მას სურდა გამხდარიყო მოძღვრად ამ მივარდნილს კუთხეში, სადაც მას თავის ბედმა არგუნა მოღვაწეობა. 1888 წელს იგი ხელ-დასხმულ იქმნა მღვდლად ყოვლად სამღვდელო გენნადისაგან დატოვებით იმავე სკოლის მასწავლებლად. როგორც მოძღვარი მამა ნიკოლოზი მეტად პატიოსანი, უანგარო და შრომის მოყვარე იყო. ის მტკიცედ ასრულებდა თავის მოვალეობას, იყო ფრიად მჭევრმეტყველი მქადაგებელი, ის არას დროს არ ხელმძღვანელობდა რაიმე წვლიმანი ანგარიშებით,—სულით და გულით დანდობილი იყო თავის ერთხელვე განსაზღვრულ მიზანზე—როგორმე დაემკვიდრებინა ნათელი ქრისტეს სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობისა თავის სამწყსოში. სადაც მოიპოვა განსვენებულმა დიდი სიყვარული და პატივისცემა. საკვირველი იყო ის შინაური კავშირი, რომელიც სუფევდა ამ ახალგაზრდა მოძღვრის და მის სამწყსოს შორის: ყოველს მის სამწყსოთაგანს მეტად უყვარდა განსვენებული, რის გამო თავის გაჭირვების მალამოდ ჰრაცხდა დარიგებას, რჩევას თავის ახალგაზრდა მოძღვრისას. აგრეთვე დიდად საგულისხმო იყო ის მოვლენა, თუ როგორ დაიმსახურა ამ გვარი სიყვარული და ნდობა ახალგაზრდა მოძღვარმა თავის სამწყსოთა შორის, იმ სამწყსოში, სადაც მას არა ერთხელ შეხვდებოდა შეიარაღება სხვა და სხვა ცრუ მორწმუნეობათა და ძველ-ჩვეულებათა წინააღმდეგ.—1892 წელს მარტში ყოვლად სამღვდელო აგათოდორის განკარგულებათ განსვენებული დანიშნულ იქმნა სუხუმის მე-V საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებლად;—ხოლო განსაკუთრებითი გულსმოდგინე სამსახურისათვის აგვისტოს თვეშივე იმავე წლისა დამტკიცებულ იქმნა ამავე ოლქის ბლაღოჩინად. ამ ახალ თანამდებობაშიაც განსვენებული მეტად პატიოსანი და უანგარო იყო, მაგრამ ამდენმა დაუღალავმა შრომამ და მწუხარებამ თავის უდროვოდ დაკარგულ მეუღლეზე ბოლო მოუღეს უიმისოდაც სუსტს აგებულებას განსვენებულისას. 8 დეკემბერს გასულის 1893 წლისას მამა ნიკოლოზი ჩაწვა ლოგინში ფილტვების ანთებით, საიდგანაც შემდეგ აღარ ამდგარა და 7 აპრილს საუკუნოდ განშორდა ამ სოფელს. ხანგრძლივის ავადმყოფობის დროს განსვენებულთან წამდაუწუმ მოდიოდნენ მისი სამწყსოთაგანი და რა ხედვიდენ თავის მოძღვარს ავადმყოფს, დასუსტებულს, როგორც ბავშები ისე ქვითინებდენ.—ამ გვარია ნამდვილი სიყვარული მწყემსისა და მისის სამწყსოთა შორის. 10 აპრილს მამა ნიკოლოზის გვამი წამოასვენეს თავის სოფელს ობუჯში—(სამეგრელოში, ზუგდიდის მაზრაში). კუბოს მოჰყვებოდა ბარე ათასამდე კაცი და ქალი. 13 აპრილს დაასაფლავეს განსვენებული. დასაფლავებაზე მეტად საგრძნობელი სიტყვა წარმოსთქვა ერთმა სემინარიელთაგანმა გასილ ალშიბაიამ, რომელმაც, სხვათა შორის, აღნიშნა დიდი ღვაწლი და შრომა განსვენებულისა აფხაზთა შორის.—მამა ნიკოლოზს დარჩა ოთხი წვრილი ობლები, რომელთა აღსაზრდელად განსვენებულს არ დარჩენია არავითარი სახსარი. სასურველი იქნებოდა, რომ სუხუმის საეპარქიო მთავრობამ გამოუძებნოს რაიმე წყარო აღსაზრდელად განსვენებულის ობლებს.

ერთი მისი თანამოძმეთაგანი.

***

ცოცხალ-მკვდარია იგი ჭაბუკი,
ვინაც მოიკლა სარწმუნოება,
უარ-ჰყო წმინდა მისწრაფებანი
და შეიზიზღა ტკბილი ოცნება;

ვის გონებასა გულსა და გრძნობას
არ ხიბლავს სალმრთო იდეალები,—
და ვერას ხედავს სიცუდის მეტსა
დედა-მიწაზედ ვისიც თვალები.

ისიც მკვდარია, ვინც დაემონა
გარეშემორტყმულს გარემოებას
და შეურიგდა ჭკუით გლახაკი
ბრმულად სიბილწეს და გარყვნილებას.

მაგრამ ათას წილ უბედურია,
ვინც დაიჩემა გენიოსობა,
ტვინ ცარიელმა მოუმზადებლად
თავს იდვა მოძმე ხალხის მოძღვრობა!

გვეყო ამდენი მელექსეები..
გვეყო ამდენი ქარაფშუტობა:

ჩვენ გვეჭირვება დამჯდარი შრომა,
დინჯური ღვაწლი და ბეჯითობა.
ბევრმა დაიწყო ადრე ყივილი,
უდროოდ ბევრმა იწყო მგოსნობა,
დაუჩიავდა ამით ბევრს ჭკუა,
და წაებილწა, წაუხდა გრძნობა.
კმარა... დრო არის, საქმეს შეუდგეთ,
გვეყო ამდენი ხნისა ბავშვობა!
ნუ თუ სულ უნდა ბავშვები ვიყვეთ?!
რას გვეღირსება ჩვენ ეაჟ-კაცობა?!

ილ. ჩხერიმელისპირელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

სვერის და საჩხერის საბლაღოჩინო ოლქში სამოცამეტი სოფელია — 60000 მცხოვრებით. ამოდენა სოფლებში მხოლოდ ორი სოფელი ქორეთისა და ჩიხისა არის დაშთენილი, სადაც ძველი პატარა ეკლესიებია, დანარჩენს სოფლებში კი ყველგან ახალი ქვის ეკლესიებია აღშენებულნი და შესაფერათ შემკულნი. ახალი ეკლესიები ზოგი ბერძენთაგან არიან აღშენებულნი და ზოგი ოსტატთ — გლეხთ ფხალაძეებთაგან, რომლებიც ცხოვრობენ სოფელს სკინდორში. ბერძნების აღშენებული ეკლესიები: კორბოულის ღვთის-მშობლისა, ჭორვილის, გორისის და სვერის ისე დაზარალდნენ, რომ სასულიერო მართველობამ საჭიროდ დაინახა ხსენებული ეკლესიები ხელ-ახლად შეკეთდენ და რკინით შეიკრან. თვითოეული ამ ეკლესიების შეკეთება უჯდება ხალხს არა ნაკლებ 2000 მან. ფხალაძეების გაკეთებული ეკლესიები: კორბოულის წ-ის გიორგის, ჯალაურთის, სკინდორის, ცხრუკვეთის და სხვა მრავალი კი მტკიცეთ და შეურყეველად დგანან, მაგრამ რომ იტყვიან, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, ისე მოსდისთ ფხალაძეებს; მათ ამ ბოლო დროს მხოლოდ ერთი ეკლესია აქვსთ აღებული და სხვას კი ბერძნები ადგიან. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ბერძნები ფხალაძეებზედ უფრო ახერხებენ კომიტეტთა გადაბირვას, აგრეთვე ბერძნები ვაჭრობაშიღირებულს ფასს უკლებენ (ხალხსაც ეს უნდა), რომ სამუშაო იშოონ და ტყუილა, უმუშევრათ არ დარჩნენ, როგორც შორიდამ მოსულნი. ეკლესიას გარეგანის ფორმით კარგს აშენებენ, მაგრამ ყალბის მასალისაგან, რომელიც შემდეგ რამოდენიმე წლისა ირღვევა და ხალხს დიდი ზარალი მოსდის. მაგრამ ზოგიერთებს მაინც ვერ დაარწმუნებთ, რომ სჯობს მეტი დახარჯო და საქმე კარგად გაკეთდეს, ვინემ ცოტა დახარჯო და საქმე კი ცუდათ გაკეთდეს. აქედამ ცხადათ დაინახავს ყველა, რომ ფხალაძეები მტკიცედ და ძლიერ კარგად აშენებენ ეკლესიებს, ხოლო ბერძნები ყალბათ. ფხალაძეები არ არიან მდიდარი გლეხები, მაგრამ თავის ხელობას სინდისიანათ და პატიოსნათ ემსახურებიან. ბერძნებს მხოლოდ ჩაქუჩის მეტი არა აქვსთ-რა, როდესაც ეკლესიას იღებენ გასაკეთებლად, ფიქრობენ, როგორც იქნება, ეკლესიას ავაგებთ, ფულს ჯიბეში ჩავიდებთ, მერე ცხრა მთას იქით ვინღა გამოგვიდგებაო. ფხალაძე კი შიშ ქვეშ არის, მამულის კაცია, სინდისიც აწუხებს, რომ ეკლესია ყალბათ ააგოს, რადგან ხალხს ეველარ შეეყრება პირში, თუ მიზეზი რაიმე მიეცა მისგან აღშენებულ ეკლესიას.

ამიტომ საჭიროა ფხალაძეებს ყურადღება მიექცეს როგორც სასულიერო მთავრობის მხრით, აგრეთვე ხალხის მხრითაც და მათ ხშირად უნდა მიეცეს ახალი ეკლესიები აღსაშენებლად. ბევრად სჯობს, მეტი დაიხარჯოს, და ეკლესია, ეს საუკუნო სახლი, მტკიცეთ ააგო, ვიდრე მცირე ფასი გაიღო და ხელ-ახლად დიდი ზარალი დაგატყდეს თავზე.

ბლაღ. მღ. ი. წერეთელ.

ჭიათურის რკინის გზის კურთხევა.

15 მაისს აკურთხეს ჭიათურის რკინის გზა. ამ დღეს, დილის 8 საათზე შორაპნის რკინის გზის სადგურზე შეიკრიბა საზოგადოება. რკინის გზის საკურთხებლად მოპატიჟებული იყო «მწყემსი»-ს რედაქტორი დეკანოზი მ. დავით ლამბაშიძე. ათს საათზე შორაპანში გადახდილ იქმნა პარაკლისი წყლის კურთხევით. მღვდელმოქმედების შესრულების დროს გალობდა ყვირილის ნორმალური და სამრევლო სკოლების მოსწავლეთაგან შემდგარი გუნდი მგალობელთა ბ. ჭინჭველაშვილის ლოტბარობით. შემდეგ პარაკლისის შესრულებისა სამღვდელოება, გზის გამგენი და საზოგადოება ორთქლის მატარებლით გაემგზავრენ ჭიათურისაკენ. გზაზე მგალობელთა გუნდი გალობდა «აცხოვნე უფალო ერი შენი»-ს. შორაპნიდამ ყველა სადგურზე მატარებელი ჩერდებოდა. სამღვდელოება რკინის გზის გამგეთა წინამძღოლობით რკინის გზის სადგურს და ყველა შენობებს ასხურებდენ აიაზმის წყლითა, ხოლო მგალობელნი გალობდენ ზემო ხსენებულ საგალობელს. ყველა სადგურზე მრავალი ხალხი იყო შეკრებილი. ნაშუადღევის პირველ საათზე მატარებელი მივიდა ჭიათურაში, სადაც დიდ ძალი ხალხი იყო თავმოყრილი. ჭიათურის სადგური მშვენივრად იყო მორთული ხის ფოთლიანი ტოტებით, ყვავილებით და ბაირახებით. აქ გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი, რომელიც დასრულდა **მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა** მრავალქამიერობის წარმოთქმით.

მესამე საათზე სამღვდელოება, მაზრის ადმინისტრაცია, საზოგადოების საპატიო პირნი, ქვა-გუნდის ზოგიერთი მეპატრონენი და მწარმოებელნი რკინის გზის გამგეთაგან მიპატიჟებულიყვნენ სადილზე. სადილზე პირველად დალიეს ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო, რომელიც დიდის აღტაცებით იქნა მიღებული; შემდეგ დალიეს სადღეგრძელოები სხვა და სხვა საპატიო პირთა. სადილზე დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ სთქვა შემდეგი: ბატონებო, იშვიათად შეხვდება კაცი ისეთ საიხარულო დღესასწაულ დღეს, როგორიც არის ყველასათვის დღეის დღე. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთი ოჯახი, ანუ ერთი სოფელი, ანუ ერთი მაზრა და ან მთელი გუბერნია დღესასწაულობდეს და იხარებდეს, მაგრამ ამავე დროს დანარჩენი მცხოვრებნი სახელმწიფოისა არაეითარ მონაწილეობას არ იღებდენ ამ დღესასწაულობაში. დღეს კი სულ სხვაა. დღეს არის კვირა—სასიხარულო დღესასწაული ყველა ქრისტიანეთათვის. დღეს არის მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის მირონცხების და გვირგვინოსნების დღის დღესასწაულობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მთელი იმპერიის ყველა თემის და აღსარების ხალხი. მთელს ჩვენს იმპერიაში ერთად დღესასწაულობენ ამ დღეს ქრისტიანენი, მოსლემანნი, ებრაელნი და კერპთ-თაყვანის-მცემელნი, რასაკვირველია, ჩვენც მთელი რუსეთის ხალხთან ერთად განცხრომით ვდღესასწაულობთ ამ დღეს. მაგრამ ამ დღესასწაულს ადიადებს და ფრიად აბრწყინვალებს, განსაკუთრებით ჩვენთვის, ჭიათურის რკინის გზის კურთხევა. დღეს მომეტებულად გაეხსნა ჭიათურის სიმდიდრეს ბაზარი მთელს დედამიწაზე. ეს ფაქტი ისეთი შესანიშნავია ჩვენს ცხოვრებაში, რომ მისი მნიშვნელობის სრულად დაფასება შეიძლება მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ. ვის უნდა უმადლოდეთ და ვისი მოწყალებაა ამ რკინის გზის გაყვანა ამ მიუდგომელ ციცაბო ადგილებში? ამ ბედნიერების ჩვენდამა მომნიჭებელი არის ხელმწიფე იმპერატორი, რომლის გვირგვინოსნებასა ვდღესასწაულობთ ჩვენ დღეს და რომელიც ნიადაგ ზრუნავს თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე. მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია არ მივაქციოთ საზოგადოების ყუ-

რადღება იმ პირებზე, რომელნიც გასაოცარი მოხერხებით ებრძვიან ყველა იმ დაბრკოლებათა, რომელნიც წინ ეღობებიან ხალხის ერთმანეთთან მიმოსელას, დაახლოვებას, და ხალხისათვის საკეთილ-დღეო ყოველ მრეწველობას და აღებ-მიმცემობას. რამდენი სიმდიდრე იყო და არის დღესაც ჩვენში დამარხული მიწის ქვეშე და ზემოდ, რომელთაც გზის უმექონებლობისა გამო ყოველი ფასი დაკარგული ჰქონდა და ამ სიმდიდრის მეპატრონენი კი უკიდურეს სიღარიბეში იყვნენ. ვინ მოიფიქრებდა ოცი წლის წინად, თუ შორაპნიდამ ჭიათურაში მოვიდოდით ორთქლის მატარებლით რამდენიმე საათის განმავლობაში. მაგრამ ინჟინერთა ხელოვნებამ და მეცნიერებამ დასძლია ბუნების ყოველივე დაბრკოლებანი და კაცი გახადა ნამდვილ უფლად ქვეყნისა, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა. ესვამ სადღეგრძელოს კ. ნ. სიმბერგისას, რომელმაც გამოიჩინა თავის ნიჭი, გამოცდილება და გამჭრიახობა და ამისთანა ციცაბო კლდეებში გაიყვანა ასეთი გზა სულ იაფ ფასად. ღმერთმა აადღეგრძელოს ეს კაცი და იმის ამ საქმეში თანამემუშაკენი. ღმერთმა აკურთხოს ეს გზა ჩვენი სახელმწიფოის სადიდებლად და ჩვენი ხალხის საკეთილ-დღეოდ. ეს სადღეგრძელო ყველასაგან აღტაცებით იქმნა მიღებული. ნაშუადღევის 7 საათზე სტუმრები და მასპინძლები ორთქლის მატარებლით დაბრუნდენ შორაპანში, სადაც მოვიდენ 9 საათზე.

ჭიათურის რკინის გზა გაყვანილია მდინარე ყვირილის ხეობაში. ყოველს ფენის გადადგმაზე ამ გზით მოსიარულეს სულ სხვა და სხვა სურათები ეხატება თვალწინ, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი და მნახველს ავიწყებს შვეიცარიის ბუნების სიმშვენიერეს.

14 მაის ეს გზა დაათვალიერა სახელმწიფო რკინის გზების კომისიამ, რომელმაც მოიწონა ეს გზა და კარონიერად ჩაიბარა. სწორეთ საკვირველია, რომ რადაცა ერთ მილიონ და სამასი ათას მანეთად ამ სიშორეზე გზა გაიყვანოს კაცმა და ამდენი ხიდები და შენობები გააკეთოს.

ასე მშვენივრად და მალე გაკეთდა ჭიათურის გზა. დმერთმა ინებოს ამ გზის კეთილი წარმატება საბედნიეროდ და საკეთილ-დღეოდ შორაპნის მაზრის ყველა მკვიდრთა, ქვა-გუნდის მეპატრონეთა და მწარმოებელთა.

დამსწრე.

პროვიზორი აფთიქრის თანაშემწეა, თუ არა?

ჩვენ მკითხველებს მოეხსენება, რომ ამას წინეთ ერთი ვილაცა ზიარელი პროვიზორი (თავის ვინაობის გამოცხადება ვერ გაბედა, ალბათ საპატიო მიზეზით) გამოგვეკამათა წამლების სახელებისა და მომზადების შესახებ. ჩვენ პასუხი გავეცით და თან გამოვესთქვით, რომ ჩვენი სურვილი იყო ვინმე ექიმს გაერჩია ჩვენი კარაბადინი და, ჩვენდა სამწუხაროდ, ზიარელი პროვიზორი კი შეგვრჩა ხელში-თქო. საზოგადოებას ვაცნობეთ, თუ ვინ არის პროვიზორი და რა ხელობის კაცია იგი. ჩუბინოვის ლექსიკონში ვნახეთ და აღმოჩნდა, რომ პროვიზორი აფთექრის თანაშემწეა. ჩვენი ზიარელი აფთექრის თანაშემწე გაწიწმატებულა ამისთანა სახელწოდებით და მოჰყოლია ოცო-ბოდიას წერას.

ერთი ეკითხოთ ზიარელ აფთექრის თანაშემწეს, რა უნდა ამ კაცს და რაზედ მოსდის გული. ამ ლექსით წოდება პროვიზორებისა ჩვენი შედგენილი ხომ არ არის?

ზიარელ პროვიზორს ძლიერ სურდა თურმე დაწვლილებით მოეყოლოდით მკითხველებს მისს ბიოგრაფიას, სად დაიბადა, ვისგან, სად მსახურებდა, სად ისწავლა, იყო თუ არა უნივერსიტეტში, რამდენი ხანი სწავლობდა პირველად, მეორედ რომ წავიდა, რამდენ ხანს დარჩა სასწავლებელში და დიპლომი ორ გირვანქიან

კარლონის ქალალდზე აქვს დაწერილი, თუ ნახევარ გირანქიანზედ. უმჯობესია მისი სიტყვები მოვიყვანოთ:

«ალ, ჩემო ბატონო, ის უნდა მოგესსენებინა. რადგანაც ბრეგეზორობის დიპლომს მიიღებთ, აი მაშინ დიდის სიამოვნებით კაგიწყვეთ სამეცნიერო კამათობას, არამც თუ მარტო ფარმაციაზედ, არამედ უველა იმ მეცნიერებაზე, რომელ მეცნიერებაც ბრეგეზორები განვითარებულნი არიან. მაგალითად, კიბასებთ მინერალოგიასა, გეოლოგიასა, ბატანიკასა, ზოოლოგიასა, ფიზიკასა, მინერალურ ქიმიასა, ორგანიულ ქიმიასა, და ფარმაკოპეაზედ, სწორედ იმ ფარმაკოპეაზედ, რომელიც უველა სახელმწიფოებს კანონად აქვსთ დადგენილი და რომლის ძალითაც ბრეფესორებიც და დოქტორებიც თხოულობენ წამლებს აფთექებიდგან და აფთექები—ბრეგეზორებიც (ჰა, აფთეკა და პროეიზორი თურმე ერთი და იგივე ყოფილა ზიარელი პროეიზორის ტერმინოლოგიით), ვალდებულნი არიან წამლები აშზადონ მხოლოდ ფარმაკოპეის თანახმად.

საიდამ სადაო, წმიდა საბაო! რას ბრძანებთ, ზიარელო პროეიზორო! ვინ გთხოვეთ, მაინც და მაინც კამათობა გაგიწეთ-თქო. თქვენ თვითონ დაიწყეთ არა მკითხე მეამბესავით და ეხლა ჩვენ გვეუბნებით, რომ კამათობას არ გაგიწევთო?..

აი, მამაო, თქვენ რო გეოდნოდათ, რუსეთის იმპერიაში არსებობს და წარმოობს Россійская фармакопея, изданная по Высочайшему повелѣнію, медицинскимъ Совѣтомъ министерства внутреннихъ дѣлъ, მაშინ „გოფმანის კაპლის“ და უველა სხვა წამლების მოამზადებასაც იქიდგან ამოსწერდით თქვენი კარაბადინისათვის და ალარ მოიუკანდით საბუთად კიდეც თქვენ მიერ შესანიშნავ დოქტორად აღიარებულს და მის ფარმაკოლოგიას, თქვენ მიერვე შესანიშნავ დოქტორად აღიარებულს. მაშინ ალარც ის წამოგეცდებოდათ თქვენს პასუხში... «რატომ ისე უნდა შეგშეზაგებია წამლები, როგორც ზიარელი ბრეგეზორი გვეუბნება, ამას ის არაფერით გვიმტკიცებსო. რომელს დავუჯერო, ამ შესანიშნავ ექიმს ფარმოკოლოგს (ესტერლენს), თუ ზიარელ აფთექის თანაშემწესაო?»

ერთ დროს თქვენი Россійская фармакопея-თი ურჩევდენ ღერის მოსარჩენად გოგირდის ფხვნილის წყლით მიღებას როგორც მშვენიერ საშუალებას ღერის წინააღმდეგ. მაგრამ ზიარელ პროეიზორს როგორ დააჯერებთ, რომ ბევრი მისი უებარი წამალი შემდეგ რამოდენიმე ხნისა არც ერთი ალარ იქნება აფთექებში!...

ამასთანვე თქვენს პასუხში დაგიყენიათ, რომ «სრულებით არ შეუძლია დამტკიცებით სთქვას ბრეგეზორმა, რომ ეს და ეს წამალი კარგია და ეხ და ეს ცუდია». მაშ უთუოდ მოვდლებს შეუძლიანთ! საწყალი თქვენი მკითხველები, რამდენ საგანზედ უგულმართ შეხედულობას ისწავლიან თქვენს გაზეთში!

თქვენდა სამწუხაროდ, მამაო, მხოლოდ ბრეგეზორს, ვით ქიმიკოსს, შეუძლია წამლის აკარგიანობის შეტყობა და მთავრობა ექსპერტად მხოლოდ ბრეგეზორს მიიწვევს ხოლმე, რადგანაც წამლების შესახებ სადმე ასე თუ ისე დავა აღიძვრის. ამისათვის უოველ საგუბერნიო მმართველობაში (губернское правленіе) თითო ექსპერტი—ქიმიკოსი ბრეგეზორიც ინიტხება სამსახურში. დიალ, თქვენდა სამწუხაროდ, მამაო, ბრეგეზორები ე. ი. ფარმაცევტები აკადემიკოსებიც გახლავან, როგორც მაგალითად Академикъ и заслуженный Профессоръ Императорской Военно-Медицинской Академіи, Непремѣнный Членъ Военно-Медицинскаго ученаго Комитета Юлій Карловичъ Траппъ.—დიალ, ბატონო, თითქმის უველა უნივერსიტეტში ფარმაციის ბრეფესორები ბრეგეზორები ე. ი. ფარმაცევტები გახლავან (ხარკოვში—ნირიკოვი, კარაბაკში—დავიდოვი, უაზანში №, ტომსკში № და სხვა).—და რა საკვირველია ამათი ჩამოთვლა, როდესაც, არამც თუ ესენი, უველა ბრეგეზორი კანონით ვალდებულია გამომძიებლისაგან წარმოგზავნილი ადამიანის შეგნულობა ქიმიურად გამოიკვლიოს და თავის აზრი წარადგინოს, მოწამლულია ადამიანი თუ არა და, თუ მოწამლულია, რომელ საწამლავით არის მოწამლული, ისიც უნდა დამტკიცოს კი. ბატონო, თქვენ მორჩილ მოწაფეს არა ერთხელ ჭკონია ამგვარი შემთხვევა.

ძლიერ მიკვირს, რატომ არ დაასახელა ჩვენმა მოკამათემ, თუ ზიარაში ვინ არის პროეიზორად. სრული

დარწმუნებული ვართ, რომ ალექსანდრე მაკედონელი ძლიერ კარგი კაცი იყო, მაგრამ სტოლებს რაზედ ამტერევთ, ბ. ზიარელო პროეიზორო! რას ამბობთ, და თუ უკაცრავად არ ვიქნები, რას ბოდავთ? რა გინდათ ამითი დაამტკიცოთ თქვენ? მართალია და ჩვენც სრული დარწმუნებული ვართ, «რომ პროეიზორი კანონით ვალდებულია გამომეძიებლისაგან წარმოგზავნილი ადამიანის შიგნეულობა ქიმიკურად გამოიკვლიოს და თავისი აზრი წარადგინოს, მოწამლულია ადამიანი, თუ არა», მაგრამ აქედან განა ის უნდა დასკვნათ, რომ ზიარელმა პროეიზორმა ზედ მიწევნით იცის, თუ რომელ ავათმყოფობას რომელი წამალი მიუდგება? ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხომ ექიმებიც საჭირო აღარ იქნებოდნენ. როდესაც კაცის სხეულის დაჭრაზე მიდგება საქმე, ექიმები ფერშლებს ასრულებინებენ ამ მუშაობას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ფერშლებიდამ შეიტყონ, თუ რა მიზეზით არის მკვდარი კაცი, ანუ თვითონ არ შეეძლოსთ კაცის სხეულის გაჭრა. ექიმები და გამომძიებლები პროეიზორს თუ უგზავნიან კაცის შიგნეულობას ქიმიურად გასაშინჯად, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ პროეიზორებმა უფრო მეტი იცოდნენ ავადმყოფობის ვიდრე ექიმებმა. ჩვენ ვთქვით, რომ ექიმობისა პროეიზორებს არა გაეგებათ რა-მეთქი და დღესაც ამასვე ვამბობთ, და ვიტყვით კიდეც, თუ გინდ «იული კარლოვიჩი ტრაპპი» მოიყვანოს ზიარელმა პროეიზორმა და თუ გინდ ბ. ილია. ჭავჭავაძე.

დიაღ; მამაო, რიტა პროეიზორი შეიქნებით, ჩვენ შეგვიძლიან ავგრეთვე გიბაასოთ, რამდენად ვალდებულია მთავრობის კანონით, რომ პროეიზორმა ექიმობაც იცოდეს ოღონდ შემთხვევისათვის, ვინაიდან კაცი მოიწამლა, დაირჩა, გაიყინა, დაიწვა, მესი დაეცა, წვეთი დაეცა, ტოფიანმა და გესლიანმა ცხოველებმა დაჰკბინოს, რაიმე შემწეობა აღმოუჩინონ გაჭირვებულთ. ყოველივე ამაების ცოდნა საკვალდებულოა უკანასკნელი მოხუცებული დედაკაცებისათვისაც და თქვენ ვინ შემოგკადრებდათ ამაების უცოდინარობას.

კი, ბატონო. მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც პროეიზორობის დიპლომს მიიღებთ და ადიგუფრვებით ოვალა ზემოდ ჩამოთვლილ სწავლა-მეცნიერებით, მაშინ გაიგებთ, პროეიზორი რა მეცნიერი-ქიმიკოსიც ოფილა და რამდენი მოვალეობა აწევს მთავრობისა და კატობრობის წინაშე. მაშინ იმედი მაქვს, პროეიზორს ადარ ჩაჭვლამთ გუთნის კვალში და ადარ ეტყვით თქვენს მკითხველებს: «არ-კი გეგონოთ, რომ პროეიზორი ან ექიმი იყოს, ან კინმე დიდი ნასწავლი კაცი».

რამდენიც უნდა ილაპარაკოთ და ამტკიცოთ, რომ საზოგადოთ პროეიზორები და განსაკუთრებით თქვენ მეცნიერი ქიმიკოსები ხართ, რომ ვალდებულნი ბრძანდებით მიცვალებულის შიგნეულობა ქიმიურად გაშინჯოთ, რომ თქვენ ექიმების რეცეპტებით წამლებს მშვენიერად ამზადებდეთ, და ვალდებული ხართ მეხისა, და წვეთის დაცემის დროს, ანუ კაცის სხეულის გაყინვის დროს შემწეობა აღმოუჩინოთ ყველას, მაინც არ შეგვიძლია ჩვენ მკითხველებს არ ეუთხრათ, რომ პროეიზორი, ჩუბინოვის ლექსიკონის განმარტებით, ნიშნავს აფთიქრის თანაშემწეს და რომ იგინი ექიმები არ არიან.

დეკ. დ. ღამ—ძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა შემდეგი ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა ამ დღეებში თავის ეპარქიის ყველა ბლაღოჩინებს: «ყველასთვის ცხადია, რომ წმიდა მოციქულთა სწორის ნინა—ქართველთ განმა-

ნათლებელის ქება-დიდება და თაყვანის ცემა არც ერთ ხალხოსნობაში არ უნდა იყოს ისე გაძლიერებული და გავრცელებული, როგორც ქართველობაში; ამ წმიდანს აქ, საქართველოში, უნდა ეჭიროს უპირველესი ყოველთა წმიდანთა ადგილი. თუმცა ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროთ, ცოტაა რწმუნებულს ჩემდამო ეპარქიაში ისეთი ეკლესია, სადაც იმექონება ხატი წმიდა ნინოსი. ამისათვის მე დიდი ხნიდგან მქონდა განზრახვა და სურვილი შეეძინა ყველა შტატის ეკლესიებს ეს ხატი. ეხლა დეკანოზ დავით ღამბაშიძეს, როგორც მახსენებს მე იგი, დაუმზადებია მრავალი ხატი წმიდა ნინოსი.

გაცნობებთ რა ამას, მოგიწერ თქვენ გამოიწეროთ მოხსენებული ხატი ეკლესიისათვის, რომელსაც კი ესეთი ხატი ჯერ კიდევ არ აქვს შეძენილი».

***

უმთავრესად ნაბრძანებია მიეცეს ხაზინიდამ სამრეველო სკოლების დასახმარებლად 350,000 მან.

იმედია, რომ ამ ფულებიდამ რამდენიმე ჩვენ საქართველოს საეკსარხოსოის სამრეველო სკოლებსაც მიეცემათ.

***

ამას წინეთ თბილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ გაზეთ «კავკაზ»-ში დაბეჭდა განცხადება, რომელშიაც გამოცხადებული იყო, რომ ამ სემინარიის ყველა მოწაფენი, რომელთაც თხოვნა შეეტანეს სემინარიის სამმართველოში და ითხოვეს მიღება, მომავალ სასწავლო წლიდამ ვალდებულნი არიან იცხოვრონ სემინარიის საზოგადო ბინაზე და შეეტანონ წელიწადში ასი მანეთი. ამ ფულიდამ ცხრა თუმანი იქნება სასმელ-საჭმელის (ფეხსაცმელ და ტანთ-საცმელ გარდა) და ერთი თუმანი საჭირო წიგნების და სასწავლო ნივთების საყიდლად. ამ ფულებიდამ 40 მან. მოწაფემ უნდა წარადგინოს სექტემბრის თვეში, 30 მან. იანვარში და სამი თუმანიც აპრილში.

***

ქუთაისში 10 მაისს გაიხსნა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება გუბერნიის და მაზრების მარშლების ამოსარჩევად. კრებას სამასზე მეტი წევრი დაესწრო. ოზურგეთის და შორაპნის მაზრებში ისევე ძველი წინამძღოლები დარჩნენ. რაჭაში აღრჩეულ იქმნა აწ უკვე გარდაცვალებულის თავადის ალექსანდრე მ. წერეთლის მაგიერ ბ. ს. ჯაფარიძე და ქუთაისის მაზრაში თავადის კონსტანტინე დ. წულუკიძის მაგიერ აღრჩეულ იქმნა თავადი დავით ნიჟარაძე. გუბერნიის მარშლად აღრჩეულ იქმნა ხმის უმეტესობით ისევ თავადი სიმონ წერეთელი (მიიღო 279 თეთრი და 40 შაი). დეპუტატთა საკრებულოის სამმართველოს წევრებად აღირჩიეს: ქუთაისის მაზრამ თავადი პეტრე გიორგის ძე წულუკიძე, ოზურგეთის მაზრამ ილია მირიანის ძე ჭყონია, შორაპნის მაზრამ ისევ კ. მაჭავარიანი, რაჭის მაზრამ დავით ნიკოლოზის ძე ბაკრაძე. მდივნის თანაშემწის თანამდებობაზე კრებამ დაამტკიცა დარისპან ჭიჭინაძე, ხოლო მდივნად კი აღრჩეულ იქმნა შორაპნის მომრიგებელი სამსაჯულოს მდივანი ბ. ილია ჩხეიძე და მის კანდიტატათ ილია მაჭავარიანი.

***

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში თორმეტ მაისიდამ დაიწყო ეკზამენები და გათავდება ივნისის თვის 11 რიცხვს.

***

ქუთაისის ეპარქიალურს გაბრიელის დედათა სასწავლებელში მომავალი სექტემბრის თვიდამ გაიხსნება პირველი კლასი, რომელშიაც მიიღებიან როგორც ამ სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის მოწაფე ქალები, ისე გარეშე მომზადებულებიც, რომელნიც ეკზამენს დაიჭერენ.

***

რაც ქუთაისის პოლიციმეისტრად დაინიშნა ბ. ძ. ი. სვიმონოვი, შესანიშნავი ქურდობა და ცარცვა-გლეჯა არა მომხდარა რა, რომლითაც წინეთ მეტათ შეწუხებული იყო ქუთაისი. 24 აპრილის თვეს ხმა

გავრცელდა, რომ ერთი ვაჭრის დუქანი გასტეხეს და დიდძალი საფასო ნივთები გაიტანესო. პოლიცმეისტერმა მიიღო თავის ზომები და მოპარული ნივთები დამკლის სახლებში აღმოაჩინა!..

***

«მწყემსი»-ს რედაქციამ უკვე მიიღო პატარა იაფფასიანი ხატები და მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს სამღვდელოებაში აღმოჩნდნენ ისეთი მოძღვრები, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ ხატების გავრცელებისათვის ხალხში. ბლაღოჩინმა დეკანოზმა მამა დიმიტრი ხახუტოვმა, ბლაღოჩინმა მამა ერმალოზ კანდელაკმა და მამა იროდიონ ჩეხუროვმა დაიბარეს ას-ასი ამისთანა პატარა ხატი ხალხში გასავრცელებლად. ერთი მღვდელი გვწერს, რომ ერთ დღეს ოც-და-ათი ხატი წაიღეს მრევლმაო. დიაღ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი ხალხის სარწმუნოების და ზნეობის მხრით დღევანდელი დაქვეითების საქმეში არა მცირე ბრალი მიუძღვის მათ მოძღვრებს.

***

რუსულ გაზეთებიდგან ვტყობილობთ, რომ სმოლენსკის სასულიერო სემინარიაში უწესოება მოუხდენიათ მოწაფეებს აპრილის პირველს ღამით. ამ უწესოების გამოსაძიებლად დაუნიშნავსთ უწმიდესი სინოდის სამოსწავლო კამიტეტის წევრი დეისტვიტელნი სტ. სოვეტ. პ. ი. ნეჩაევი, რომელსაც კიდეც გამოუძიებია საქმე. ამ სემინარიის ინსპექტორს და მის თანაშემწეს უკვე შეუტანიათ დათხოვნის ქაღალდი.

***

ამას წინეთ ჩვენ გაკვრით მოვიხსენიეთ, რომ, თუ ვლადიკავკავის ეპარქია მოაშორა უწმიდესმა სინოდმა ჩვენს საქართველოს, მოსალოდნელია, სხვა ცვლილებანიცა-თქო. ეხლა რუსულ გაზეთებში უფრო გახშირებით ვკითხულობთ, რომ საქართველოს საექსარხოსოში დიდი ცვლილებები მოხდებაო. ამ გაზეთებს თუ დაუჯერა კაცმა, იმასაც სწერენ, რომ საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი ტვერის ეპარქიაში ინიშნებაო და მის ადგილზე საქართველოს ექსარხოსად დაინიშნება ფილიანდიის მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი ან ნოვგოროდის მთავარ-ეპისკოპოსი თეოგნოსტიო. მაგრამ ეს უკანასკნელი ხმები, ჩვენის აზრით, ჭორები უნდა იყოს.

***

სოფლის ზოდის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვ. ალექსი ჯაფარიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: „მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ეკკლესიას სხვა და სხვა ნივთები. აი შემწირველთა სიაც: აზ. როსტომ გამყრელიძის მქვრივმა შემოსწირა შვიდღეროვანი დიდი შანდალი, ღირებული 44 მ., ილარიონ ოტიას ძე გამყრელიძემ 30 მ., ღირებული ბაირაღები, ოქროპირ კვირიასძე სამხარაძემ ერთი ტრაპეზის ჯვარი ვერცხლისა ოქროშიდ დაფერილი, ღირებული 43 მან.

რედაქციის პასუხი.

მღვ. ა. გ—ნს. ხელის მოწერით დაგიყვიათ პირი ყველა თქვენი სიმართლისათვის. თქვე დალოცვილო, რაც მიიღეთ, იმაზედ მოაწერდით ხელს და არა იმაზედ, რაც არ მიგიღიათ. ნუ შეშფოთდებით, უმართებულობა დიდხანს ებრძვის სიმართლეს. ნუ დაივიწყებთ, რომ მოციქული პავლე ამბობს: მთელი ქვეყანა უსამართლოებაზე არის დამყარებულიო. ღმერთი მოწყალეა. თქვენგან დაბარებული წიგნები გამოგგზავნეთ და მაზრის უფროსთან მოიკითხეთ...

მღვ. ილ. ქურციკიძეს. ძლიერ საადვილოა ზედ-მიწერილი ეკკლესიის სახელზედ გამოიწეროთ საეკკლესიო საბუთები. მიკვირს, რომ ამდენი ხანი ვერ შეიტყო ეს სამღვდელოებამ. თუმცა ორგზის გვქონდა გამოცხადებული.

მღვ. ამბ. ყურას. დრამის ფულის აღების დრო იწყება იანვრიდამ იანვრამდის. პენსიის ფულს მიიღებს მღვდელი თხოვნის შეტანის დღიდამ. წინეთ შტატ გარეთი მღვდელი პენსიას იღებდა სამრევლოდგან დათხოვნის რიცხვიდამ, მაგრამ დღეს კი იმ დროიდამ, რა დროსაც შეიტანს პენსიის დანიშვნისათვის თხოვნას.

ხევი. გ. ბ—ი. წაიკითხე სახარება და იქ ნახავთ იმ ავაზაკების სახელს და როცა ნახოთ, შემატყობინეთ და თუ ვერ ნახოთ, ისიც შემატყობინეთ.

განცხადებანი.

სახელმძღვანელონი,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრეველო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... მინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

გუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. მინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

პოპორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

პონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხმელი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იმენანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

მირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеніи всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженіи по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15—4)

შინაარსი: სამწყსარო ფიქრები საქართველოს სასულიერო მართველობის ერთი განკარგულებისა გამო.—მწყარე ფიქრები.—ნეკროლოგი.—ლექსი.—წერილი რედაქციის მიმართ.—ჭიათურის რკინის გზის კურთხევა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозв. цензурою. Кутаисъ, 14 Мая 1894 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.